საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-128

ქ. თბილისი

08/02/2019

ქედის მუნიციპალიტეტში, შპს „ ბილდერ გრუპ“-ის სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ბილდერ გრუპ“-ის მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. დანდალოში ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია მოქ. მაია ბერიძის კუთვნილებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 2500მ^2 ნაკვეთზე (ს/კ 21.09.31.226), რომელსაც 10 წლიანი იჯარის საფუძველზე განკარგავს შპს „ბილდერ გრუპი“. წარმოდგენილი განცხადებით მიწის სტატუსის შეცვლა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებაზე განხორციელდება სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ. უახლოესი დასახლებული პუნქტი აღნიშნული ტერიტორიიდან დაშორებულია 1კმ-ით. საწარმოს ფუნქციონირება წლის განმავლობაში დაგეგმილია 240 დღით, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით. სულ დაგეგმილია 12 ადამიანის დასაქმება. ტერიტორიაზე ნედლეულის შემოტანა გათვალისწინებულია ავტომანქანებით 10 კმ-ს მანძილიდან, რომლის ძარაც დახურულია ტენტით.

საქმიანობის განხორციელებისათვის შერჩეული ტერიტორია მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის კალაპოტიდან 50მ დაშორებით. უშუალოდ საწარმოს განთავსება დაგეგმილია მდინარის კალაპოტიდან 200მ დაშორებით. ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია სასაწყობო მეურნეობა და წყლის ჩამომსხმელი საამქრო, რომლებიც არ ფუნქციონირებს.

ინერტული მასალების მწარმოებელი საწარმოს ტერიტორიაზე იგეგმება 40 მ^3/სთ სიმძლავრის

სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის განთავსება. აღნიშნულ საწარმოში დაგეგმილია 120 000 მ^3 ინერტული მასალის (სასარგებლო წიაღისეული) გადამუშავება წლის მანძილზე. საწარმოს მოწყობის ეტაპზე გათვალისწინებულია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საწარმოს ფუნქციონირებისთვის დაგეგმილია მექანიკური სალექარის მოწყობა, რომელიც მოემსახურება ინერტული მსალის გარეცხვას. აღნიშნული სალექარი ასევე მოემსახურება წარმოქმნილ ჩამდინარე წყლებს, რომლებიც სალექარის გავლის შემდგომ

მდინარე აჭარისწყალში ჩაშვება. წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით ტერიტორიაზე სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტის მოწყობა არ იგეგმება, რაც ამცირებს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკებს.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით, ადგილზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს ანალოგიური ტიპის საწარმოები, რაც გამორიცხავს კუმულაციურ ზემოქმედებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით საწარმოო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ვინაიდან სალექარში წარმოქმნილი შლამიც წარმოადგენს პროდუქტს, რომლის გამოყენებაც იგეგმება ბუნებრივ შემავსებლად და რომლის რეალიზაციასაც გეგმავს საწარმო. რაც შეეხება ადგილზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნას, ამისთვის ადგილზე გათვალისწინებულია სპეციალური ურნის განთავსება, რომლესაც ხელშეკრულების საფუძველზე მოემსახურება მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური. ადგილზე, მუშა პერსონალისთვის გათვალისწინებულია სპეციალური საანსენერაციო ორმოს მოწყობა, რომელიც პერიოდულობით გაიწმინდება შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე. წარმოდგენილი განცხადებით ადგილზე რაიმე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

საქმიანობის გამომდინარე, საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა ინერტული მასალის მტვერი, რომლის რაოდენობა მნიშვნელოვანი არ იქნება, ვინაიდან დაგეგმილია სასარგებლო წიაღისეულის სველი მეთოდით დამუშავება. ასევე საწარმოს მუშაობის პროცესში წარმოქმნილი ხმაურის გავრცელების ხმაურის დონეების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის ვინაიდან დასახლებული პუნქტი მდებარეობს 1კმ-ით. ნიშანდობლივია, რომ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ხმაურის გამომწვევი სხვა საწარმოები არ ფიქსირდება, აღნიშნულიდან გამომდინარე, ხმაურით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება მოსახლეობაზე მოსალოდნელი არ არის.

დაგეგმილ ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, ვიზუალური შეფასებით კულტურული-არქეოლოგიური ძეგლი ადგილზე არ ფიქსირდება. საქმიანობა არ არის დაგეგმილი შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებით, დაგეგმილია სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია, რომელიც მნიშვნელოვან გარემოზე ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქედის მუნიციპალიტეტში შპს „ბილდერ გრუპ“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (ქვიშა-ხრეშის) საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „ბილდერ გრუპი“ ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბილდერ გრუპს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბილდერ გრუპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი